

ასეა ყოველთვის, ყოველ დღე...

როცა საფეხურებს აუყვები და მანქანების გაბმული, რიტმული დგან-დგანი დაგისმობს ყურთასმენას, მანინ იგრძნობ, რომ მოხვდი შრომის დიდ სასახლეში, სადაც 3.000-მდე კაცი ჩამულა საქმიანობის ფერხულში და თავისი წვლილი შეაქვს საერო მშენებლობის საქმეში...

ეს ყველასთვის კარგად ცნობილი, თბილისის აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკაა, ერთ-ერთი უზარმაზარი საწარმო, ნაირფერი, შრიალა ქსოვილებით რომ უხარებს გულს მილიონობით მშრომელი. საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე მარამ ჩიტძე შეთვალა და მისთვის მივუხსნე შედეგობა.

ერთი კითხვით მოსულს ახლა აქ ათასი საკითხავი გაგინდება, ასე ინ-

ტერესი, მაგრამ...—საწარმო ტანვარჯიში?!—ეღიმება თამაჯალარა ქალს.— იგი ასეა ჩვენთან ისე დამკვიდრდა, მის გარეშე კიდევაც გაუჭირდებოდათ ფაბრიკაში. თუმცა ამის შესახებ თვით ამ საქმის უშუალო ხელმძღვანელები, საწარმო ტანვარჯიშის მეთოდისტი იოსებ ნატრაძე და ფიზკულტურის ინსტრუქტორი ნოდარ ბოჭორიშვილი უკეთ გეტყვიან...

დილის 7 საათია. ირგვლივ გამეფებული მყუდროებაში ზარით ისმის: ერთი... ორი... მესამე... ჩამდგარი მშრომელები დილის ჩამზიდ ვარჯიშს ასრულებენ. ყველა იღვთი, ყველა მოძრაობა, რომელსაც დილის გამამხნევებელი ვარჯიში ითვალისწინებს, ხალხით სრულდება. სიცოცხლით სავე ადამი-

ანები კიდევ უფრო მკვირცხლი ხდებიან. ენერჯია ზღვადგება და შრომას მონატრებულები შეუდგებიან საქმეს. ათასობით ხელი ჯარასავით ტრიალებს, ათასობით მარჯვენა მანქანას საწარმოს აწოდებს, კვებავს...

და როცა მანქანებთან ჯაფას შეჩვეული ხელები იღვებან, მოძრაობა უძნელდება და საქმით ხდება მოღუბნული კუნთების გაგარჯიშება, მაშინ საწარმო ტანვარჯიში ასრულებს თავის დანიშნულებას. სამაქროებში იწყება ფიზკულტურული პაუსა...

მანქანებმა ხმაური შეწყვიტეს. დაზვერება ხუთი წუთით შეისვენეს. საქსოვი საამქროს საზოგადოებრივი მეთოდისტი თამარ შახულოვა ადგილს იკავებს და წუთის წინ მანქანებთან მოფუსფუსები

ახლა სხეულს ივარჯიშებენ, იწითობიან. თვითველი საამქროს ვარჯიშთა კომპლექსები მათი მუშაობის სპეციფიკას უნდა დაუქვემდებარდეს. საქსოვი საამქროში მუშები ყოველთვის დახრილები მუშაობენ, ამიტომ მათთვის ვარჯიშის კომპლექსი ისე უნდა იქნას შედგენილი, რომ ყურადღება გამახვილდეს წელისა და კეედა კიდურების ვარჯიშზე.

სულ სხვაა მოსამზადებელი სამაქროში. აქ მუშები უფრო აქტიურ სამუშაოს ასრულებენ, ხელების მეტი მოძრაობით. ამ შემთხვევაში მთელი ყურადღება გამახვილდება უნდა კიდურების აქტიურ დასვენებაზე. მუშები დასვენების სიახლოვეს დგანან და ვარჯიშობენ საზოგადოებრივ მეთოდისტ ზურ ხვედელიძესთან ერთად.

საყურადღებოა, რომ აქ მარტო ახალგაზრდები კი არა, ხანშიშესულებიც დიდი ხალხით მონაწილეობენ საწარმო ტანვარჯიშში. ნახავე თმებდათოვლი, წლებითა და შრომით მხრებდაძიმებულ ქალს ოლია ჩიტაშვილს და გაგიკვირდებათ, როგორი მოხდომებით ასრულებს ყოველ მოძრაობას. თუმცა, გასაკვირი არაფერია. მან უკვე პრაქტიკულად გაიგო, რომ საწარმო ტანვარჯიში სელს უწყობს არა მარტო სხეულის ფიზიკურ წრთობას, არამედ გუნება-განწყობილებასაც ჩინებულ გავლენას ახდენს და საგრძნობლად ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

საწარმო ტანვარჯიშის დანერგვის


შემდეგ სამხრეთის საქსოვი საამქროში შესწავლამ დასრულდა. მანქანების ტრავმები, გაიზარდა საწარმო პროდუქციის ხარისხიც.

ამიტომაც არის, რომ საწარმო ტანვარჯიშმა მტკიცედ მოიკიდა ფეხი ფაბრიკაში. თუ ადრე მის სარგებლობას მუშები ეჭვის თვალით უყურებდნენ, ახლა პირიქით, ჩამოდი ვარჯიშისა და ფიზკულტურის ჩატარებას სისარულით ელიან, რომ შრომით დამძიმებული მკლავები თავისუფლად გამაშონ, მოღუბნული კუნთები გაივარჯიშონ, სხეული გამოაწრთონ. ასეა ყოველთვის, ყოველ დღე, ყველა სამაქროში... და არა მხოლოდ საწარმო ტანვარჯიშში...

ნაყოფიერად მუშაობს ფიზკულტურული საბჭო. აქ 1200-მდე კაცია გაერთიანებული ფაბრიკაში არსებულ სხვადასხვა სექციებში. უკანასკნელი 6 თვის მანძილზე კოლექტივმა 25 სხვადასხვა სახის დონისივებში მიიღო მონაწილეობა როგორც სარაიონო, ისე საქალაქო და რესპუბლიკის მასშტაბით და 11 პირველი, 9 მეორე და 7 მესამე საპირის ადგილები დაიკავა. ფიზკულტურის კოლექტივი წარმატებით გამოვიდა ორჯონიძის რაიონის წარმომადგენლებთან სპარტაკიადზე, გათამაშებულ 7 სახეობაში 3 პირველი, 3 მეორე და 1 მესამე ადგილები დაიკავა და პირველ ადგილზე კომპლექსურ ჩათვლაში.

ფაბრიკიდან კმაყოფილი გამოდისარ და გრძობ, რომ ეს დიდი საწარმო, მარტო შრომის სასახლე კი არა, დასვენებისა და გაერთობის სასახლეცაა. გიხარია, რომ აქ შრომაც უყვართ და სპორტიც.

ცილა შაპარაძე



ტურისტული მარშრუტით



საქართველოს სამხედრო გზა ტურისტთა ყურადღებას დიდი ხანია იპყრობს. ამ თვალწარმტაცი გზის დასათვალისწინებლად ჩამოდიან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან და სასულგარეთიდანაც. მასზე გადის მრავალი საინტერესო ტურისტული მარშრუტი.

სურათზე თქვენ ხედავთ თუ რა ინტერესით ათვალისწინებენ ტურისტები უძველესი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს. ერთ დროს მიუვალი ეს ნაგებობა ახლა მილიონად ტურისტების ალყაშია მოქცეული.

მრავალი ახალი შთაბეჭდილებებით დაბრუნდებიან უკან სამხედრო გზაზე მოგზაურები.

— ამიერიდან ჩვენ შევებულებს ტურისტულ ლაშქრობებში გაგატარებთ! — ერთხმად აცხადებენ ტურისტები. ეს სწორია, რადგან ტურისტში, ამავე დროს, დასვენების საუკეთესო საშუალებაა.

კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი.

მაგრამ რედაქციას მიაჩნია, რომ საკითხი ერთობ ვიწრო და განხილული. სოხუმში არსებობს ბევრი პარაკი, რომელთა გამოყენება შეიძლება აგრეთვე საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გამოყენებისთვის. იმედი, რომ ამაზე საგანგებოდ იმსჯელებს მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და სათანადო ღონისძიებებსაც დასახავს იმ მიზნით, რომ ქალაქის პარაკებმა ღირსეული მონაწილეობა მიიღონ კულტურისა და დასვენების პარაკების საკავშირო დათვალისწინებაში.

გამოუპყვენიელი წერილების კვლავი

საკითხი ვიწრო იქნა განხილული

რედაქციაში შემოვიდა წერილი სოხუმისა და კორკის რაიონებში აღმოჩენილი იყო საკითხი სოხუმის კულტურისა და დასვენების პარაკებში, საერთოდ და კერძოდ, ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარაკში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისა და განმარტოების ჯგუფების შექმნის საკითხების შესახებ.

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ანხ. დ. ხვარციას, მან

კი, თავის მხრივ, სოხუმის განათლების განყოფილებას გამგეს ანხ. ლ. უჩახიძეს.

როგორც ლ. უჩახიძის გვაცნობებს, საკითხი შემოწმდა მხოლოდ სოხუმის ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარაკის მუშაობასთან დაკავშირებით. პასუხში ნათქვამია, რომ კორკის რაიონში აღნიშნული ნაკლებანები გამოსწორებულია. სოხუმის ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარაკში მოქმედებენ წრეები, ორგანიზებულია პიონერთა ბანაკი, ხორციელდება რიგი

ამიერიდან სპორტით

- ◆ **ზესტაფონი**
ერთ თვეს გასტანა ზესტაფონის სამრეწველო-საწარმოო ზონის მასშტაბით სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს დებულებით გათვალისწინებულმა საკავშირო დაუსწრებელმა შეჯიბრებამ მე-8-მე-11 კლასების მოსწავლეობის დევიზით: „ოლიმპიური გაზაფხული“. მასში მონაწილეობდა რაიონის ცხრავე საშუალო სკოლა. გაიმარჯვეს ზესტაფონის № 4 საშუალო სკოლის მოსწავლე ფიზკულტურულმა (ფიზდურის) მასწავლებლები პ. მაღალურაძე და გ. ფერაძე. მეორე ადგილზე გამოვიდა მესამე საშუალო სკოლის (ფიზდურის) მასწავლებელი ბ. ჩანათაძე, ხოლო მესამეზე — შორაანის რაიონის № 8 საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივი.
- ◆ **ბანაშრაპა**
- ◆ **სამტრედია**
ამ დღეებში სამტრედიის სპორტკავშირის ინიციატივით ჩატარდა მოტო-ველო კროსი მარშრუტით სამტრედია — აბაშა — ცხაკია — ფოთი — ბათუმი. ბათუმში კროსის მონაწილეებმა დათვალისწინებულ სხვადასხვა საწარმო, დასვენების და ქუჩის სამტრედიის სკენ აიღეს.
- კროსი ჩატარდა საინტერესოდ და ორგანიზებულად.
- ◆ **მანჯგალაძე**
- ◆ **გეგეპორი**
ამ დღეებში გეგეპორის რაიონის ლეგარდის პიონერთა ბანაკში ჩატარდა სპარტაკიადა სპორტის 4 სახეობაში — ფრენბურთში, მაგადის ჩოგბურთში, ქალაქში და შაშხი. გარდა ამისა, ბანაკის პიონერებმა მოაწყვეს სხვადასხვა მარშრუტის სამი ტურისტული ლაშქრობა.
- ◆ **ლაფანაშვილი**
- ◆ **ცხინვალი**
სამხრეთ ოსეთის კოლმეურნე ფეხბურთელთა ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ზნაურის, ავნიკის, ჯავის, ლენინგორის, თამარაშენისა და ერედვის გუნდები. ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს ლენინგორელებმა, მეორე — ერედველებმა.
- ◆ **ზნაური**
რაიონის სპარტაკიადაში, რომელიც ამას წინათ ჩატარდა, მონაწილეობდნენ მოჭარბაკები, მოჭარბაკები და მომამეხები. ჭარბაკში უმდიერესი აღმოჩნდა ვ. ნადირაძე, შაშხი — გ. გობოშვილი. ავნიკის, თამარაშენის, ზნაურის და ღირბის ქართული სტადიონის მოჭარბაკთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს ავნიკელებმა.
- სპარტაკიადის დასასრულს გაიმართა ზნაურისა და ქარელის მოჭარბაკთა ამხანაგური შეხვედრა. ანგარიშით 4:5,3:5-ზე გაიმარჯვეს სტუმრებმა.
- ◆ **მელონი**

შესანარჩუნებელი ანკვირები

კოვალთში ფიზკულტურული მუშაობისაგან სწორად გაიგონებ — ჩვენიან ყველაზე მეტი ყურადღება ფეხბურთის ეთმობაო. ეს აზრი რომ საფუძველს არ არის მოკლებული, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: როდესაც სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ძებნაში გვერდზე ჩავუარებთ ადგილობრივ სტადიონს, ასეთი სურათის მოწმენი გავხვდით — სტადიონის დირექტორი წელზემთი გაშიშვლებულიყო და ხელში მომარჯველთა შალაშინით ასუფთავებდა ხის შორს. მას ორი ახალგაზრდა ეხმარებოდა. გამოირკვა, რომ ვარჯიშის დროს ქობულეთის ფეხბურთელებმა დააზიანეს კარის ზედა ძელი და ახლა, როცა საქართველოს პირველობაზე მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათი რჩებოდა, მასპინძლები მთელს ძალდონეს სმარობდნენ, რათა მოედანი სრულ მზადყოფნაში დახვედროდა სტუმრებს ტყებულებიდან. ქობულეთში უყვართ ფეხბურთი, მაგრამ, როდესაც, როგორც იტყვიან, ყველაფერი ფეხბურთზე ტრიალებს,

ამას, ცხადია, უარყოფითი მხარეები მოსდევს.

და აი, ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ უარყოფითი მოვლენას გამოუჩნდა ანტიპოდი...

... „კოლმეურნის“ რაისაბჭო სტადიონის გვერდზე მდგარი შენობაში იმყოფებოდა. ადამიანი, რომელსაც ვეძებდით, ადგილზე დაგვიხვდა. ეს იყო ქიდაობის ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი ვ. გაროზაშვილი.

— კარგი იქნება, რომ დღეს ოთხ საათზე მოხვდეთ, სექციის შეკრებივს ნახავთ, — გვითხრა მან.

მეცადინეობის დასასრულს მივეუწვარი. მართალი გითხრათ, დარბაზში დიდ კომფორტს არ მოველოდი, მაგრამ რაც აქ ვნახეთ, ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა.

დარბაზში შესვლამდე გამოვიარეთ ოთახი, რომელსაც იატაკად... მიწა ჰქონდა. მომდევნო კარში გასვლისას თავის დახრამაც მოგვიწია და აღმოვჩნდი დაბალქერიახ, დახუთულ ოთახში, თუმცა ორი პატარა სარკმელი ბოლომდე იყო ღია.

თითქოსდა ასეთ პირობებში ყოველგვარ წარმატებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ სწორედ ქიდაობა დგას რაიონის სპორტულ სახეობათა ავანგარდში. ამაში, უპირველეს ყოვლისა, დამსახურება მიუძღვის მწვრთნელს ვ. გაროზაშვილს.

საბჭოთა კავშირის წლებადელი ჩემპიონი თავისუფალ ქიდაობაში ქაბუთის შორის მ. შახულოვა, საქართველოს 1964 წლის პირველობის მეორე პრიზიორები თავისუფალ

ქიდაობაში (ასევე ქაბუთა შორის) გ. კახასკალიძე, ხ. ფოკაიძე, სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ა. მახარაძე და კიდევ ბევრი სხვა სწორედ ვ. გაროზაშვილმა აღზარდა ბოლო სამი-ოთხი წლის მანძილზე.

— სულ სექციის ქიდაობის ოთხი სახეობაა სპორტურული: თავისუფალი, კაბუთ, კლასიკური და ქართული. უკანასკნელი ორი საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს. წელს გეგმით მოსამზადებელი 52 თანრიგისიდან უკვე მოგამზადეთ 44, მათ შორის ორი სპორტის ოსტატი — გ. ნაიაძე — თავისუფალში და ვ. ძნელიძე — კლასიკურში, — ამბობს ვ. გაროზაშვილი. — სექციის მეცადინეობას ყოველდღე

ვატარებთ, ხოლო კვირადღეს უმოთარედად საწვრთნელ შეჯიბრებებს და ამხანაგურ შეხვედრებს გმართავთ. მაგრამ, ბევრი რამ მაინც აფერხებს ჩვენს მუშაობას. ესაა, მაგალითად, კეთილმოწყობილი დარბაზისა და შხაპების უქონლობა. ზღვრული კიდევ არაფერია, ზღვა არც თუ ისე შორსაა, მაგრამ ზამთარში ეს გარემოება მეტად გვზღუდავს.

ერთი სიტყვით, ქობულეთის რაიონში წარმატებით ამოქმედდა ქიდაობის სექცია, რომლის აღზრდილობაც უამრ თინი წელია არავის უთმობენ „კოლმეურნის“ გარდაშვალ თასს კლასიკურ ქიდაობაში და გამარჯვებულს აღწევინებს სხვა სხეობებშიც. მაგრამ მან შესაძლებლობათა მაქსიმუმს რომ მიადლოს, სპორტის რაიონში მეტი ყურადღება დაეთმოს ქიდაობის განვითარებას.

◆ **გიგაური**
(ჩვენი სპეც. კორ.)
ქობულეთი.

რთული ამოცანის წინაშე

სსრ კავშირის პირველი პირველი II კვლევის



თბილისი. „დინამო“ სტადიონი. 22 აგვისტო.
 „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კარპატი“ (ლელო) 0:0.
 „ლოკომოტივი“: რუხაძე, ჩხაიძე, კანდელაკი, წოწელია, კიჭირია, მუმლაძე, შავთავა, მელაშვილი (პარესიანი), იაშვილი, ახალკაცი, კოშკელოვი.
 „კარპატი“: ვლასენკო, ბოკანოვი, ვალიონტა, სუჩკოვი, კულაკოვსკი, ასლანბეი, კულჩიცი, როსინი, გუსევი, კროზნიევი, დიკოვეცი.
 მსაჯი ს. მურუგოვი (ტაშკენტი).

თბილისის რკინიგზელთა გუნდი საკმაოდ არათანაბარი სიძლიერით ატარებს მატჩებს თავის ქვეჯგუფში. ში. ერთხანს „ლოკომოტივს“ საკმაოდ მტკიცე პოზიცია ეკავა პირველ შედეგულში, მაგრამ ზედმედ

ორმა მარცხმა დნებოპეტროვსკში და ერევანში მისი შანსები საგრძობად შუაყია. შედარებით გამოასწორა მდგომარეობა ზაპოროჟიეს „მეტალურგთან“ მოპოვებულმა ორმა ქულამ. ამიტომ გუნდის მატჩის წინ თბილისელები თამაშის მოგების აუცილებლობის წინაშე იმყოფებოდნენ ლელოს „კარპატთან“, რომელიც აგრეთვე შეიძლება მოხვედრის კანდიდატია და განვლილი ტურის წინ 1 ქულით უსწრებდა „ლოკომოტივს“. ეს გამარჯვება მათ უფრო საჭირო იყო, რომ გათამაშების პირველი ეტაპის დამთავრებამდე დარჩა სულ ორი ტური.

თბილისელებმა ვერ შეძლეს მათს წინაშე მდგარი ამოცანის წარმატებით გადაჭრა. გუნდმა სუსტად ჩაატარა პირველი ტაიმი და საშუა-

ლება მისცა სტუმრებს მოლონად ხელი აეღოთ ინიციატივა. განსაკუთრებით ასიურობდნენ თავდამსხმელები.

მეორე ტაიმში მელაშვილი შეცვალა პარესიანმა და ურთიერთობა შეცვალა წინა ხაზის მოთამაშეთა შორის საგრძობად გაუმჯობესდა. რკინიგზელები მთელი ტაიმის განმავლობაში უტყველდნენ მოწინააღმდეგეს, „კარპატის“ საჭირო მოედანზე სწორად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იქნა რეალიზებული.

მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. ამ დაპარული ქულის შემდეგ „ლოკომოტიველთა“ პირველ შედეგულში გასვლის შანსები მნიშვნელოვნად გართულდა.

ბ. ცინცაძე

ბათუმი

სოხუმი. 22 აგვისტო. (ტელეფონით ჩვენი კორ.). აქ გაიმართა მორიგი ტურის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „დინამომ“ მიიღო კიროვბადის თანაკლებელთა გუნდი.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 4:4.

ფოთი. 22 აგვისტო. (ტელეფონით ჩვენი კორ.). ფოთის „კოლხიზის“ და გურჯაანის „ალანის“ პირველი წრის შეხვედრა მოიგეს გურჯაანელებმა — 4:2. ეს ფოთელ ფეხბურთელებს საფუძველს აძლევდა ფიჭობის რეგენში განმეორებით მატჩში. რეგენში შედგა ფოთელებმა გაიმარჯვეს — 3:2.

პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 ფოთელების სასარგებლოდ. მეორე ტაიმში ბრძოლა მეტად დაძაბული ხასიათი მიიღო. როცა ანგარიში იყო 2:2, 70-ე წუთზე ფოთელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი.

ა. ლომაია

ბათუმი. 22 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი კორ.). ყურადღების ცენტრში იდგა მატჩი ბათუმის „დინამოს“ და რუსთავის „მეტალურგს“ შორის.

ლიდერთა თამაშმა მაყურებლებში სამართლიანი გულსტრია იწვევდა. რუსთაველებმა მთელი მატჩი არა სპორტულად, უხეშად ჩაატარეს, ეკამათობდნენ მსაჯს. „დინამოსის“ მიზეზი გახდა გოლი, რომელიც 65-ე წუთზე გაიტანეს ბათუმელებმა. ყველაფერი ეს კი დაგვირგვინდა იმით, რომ უხეშო თამაშისათვის გაძევებულ იქნა რუსთაველი ქოჩიაშვილი.

გამარჯვებს ბათუმელებმა — 1:0.


ო. მურავინიძე, ვ. მოსაველი

ფეხბურთის მრეწველობა

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი“ და როსტოვის არმიელთა გუნდი.

მატჩი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ფეხბურთის მრეწველობა სახურადღებოდ!



სურათზე: მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე როსტოვის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. გარდევანა თბილისელთა თავდამსხმელი ვ. ბარქაია.

ახალი ამბავის სააგენტო

მთავრობის მითითებით

სპორტში იშვიათად კმაყოფილებიან მიღწევით. აუტსაიდერი, როგორც წესი, წინ გასვლას ლამობს, რიგითი სპორტსმენი ლიდერობაზე ოცნებობს, ხოლო ლიდერი — ერთპიროვნულ გამარჯვებაზე. საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები ევროპის 7-გზის და ოლიმპიური თამაშების 3-გზის ვიცე-ჩემპიონია. ბუნებრივია, მისი გუნდები უფრო შორს მიდის.

დღესთვის სულ ცოტა სამ გუნდს შესწევს უნარი ჩაფუშოს საბჭოთა კალათბურთელების გუნდები. დაიწყეთ ამერიკელებისგან, რომლებიც სუთი ოლიმპიადის ჩემპიონები არიან. ამერიკელთა წარმატება ისეთივე ჩვეულებრივი ამბავია, როგორც ვთქვით, საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვებები. ამიტომ ადვილი გასაგებია რა რეაქციას გამოიწვევს შტატებში ამერიკელთა ოლიმპიური მარცხი.

ასეთი პერსპექტივა კი უდაოდ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, კალათბურთის სამშობლოს შანსები ოლიმპიადებზე არასდროს არ ყოფილა ისეთი პრობლემატური, როგორც ამჟამად.

საბჭოთა კავშირის ნაკრების სამმა გამარჯვებამ ამერიკის გუნდზე (მიმდინარე წლის გაზაფხულზე) გარკვეულ პრიორიტეტში ჩააყენა ჩვენი გუნდი, რომელიც სცემდა რა პატივს მოწინააღმდეგის ძალას და უნარს, დარწმუნდა, რომ მისი დამარცხება მაინც შესაძლებელია. ამერიკელთა მწვერთელი ჰენრი უილი თავისი გუნდის შანსების შეფასებისას თვლის, რომ ტოკიოში მას წარმატების ყველა მორალური უფლება ექნება. საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები — აი, სად გადაწყდება ოლიმპიური მედლების საკითხი. ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინ შეიძლება შეუმალოს ხელი მათ ამ ბრძოლაში, მწვერთელმა მხოლოდ მხრები აიჩიზა. მისი პასუხი ნათელი იყო: — ვერავენ. როგორც ხედავთ, ამერიკის ნაკრების მწვერთელი ფიჭობის, რომ მის გუნდს მხოლოდ ერთი კონკურენტი ჰყავს. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენითვის სასიამოვნო აღიარებაა, მაგრამ არ არის აუცილებელი ვიმსჯელოთ ისე, როგორც ამერიკელი მწვერთელი მსჯელობს.

ბრაზილიის უარყოფა ყოველ წარმოდგენილთა თუნდაც იმიტომ, რომ

და ბოლოს, მესამე კონკურენტი — იუგოსლავია. 1961 წლიდან მოყოლებული იუგოსლავიის ნაკრებმა ოფიციალურ ტურნირებში მხოლოდ ოთხი დამარცხება განიცადა: ორი საბჭოთა კავშირთან (ორივე იუგოსლავიაში) და თითო-თითო ბრაზილიასთან (ბრაზილიაში) და პოლონეთთან (პოლონეთში). სწორედ ამ პერიოდში მათ აქვთ გამარჯვებები როგორც შეერთებულ შტატებზე, ისე საბჭოთა კავშირზე (ბრაზილიაში).

წესს იუგოსლავიის ნაკრების მწვერთელმა ა. ნიკოლიჩმა თითქმის ორი თვე დაჰყო კალათბურთის სამშო-

ბი არც ისე დამაჯერებელი იყო. „ბორტი ენების“ აღიარებით, მსოფლიო პირველობა ბრაზილიელმა კალათბურთელებმა კი არ მოიგეს, არამედ მაყურებლებმა — მსოფლიოში ყველაზე ტემპერამენტისა გულშემატკივრებმა. ბრაზილიის გუნდი ძლიერია, მაგრამ არა მგონია, რომ იგი უძლეველი იყოს.

ეს ყველაფერი ასეა და მაინც უკუნურება იქნება ბრაზილიელებს რომ არ მივაქციოთ ყურადღება. ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მათზე გამარჯვება ჩვენს გუნდს ყოველთვის დიდი ჯაფის ფასად უხდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი ბრაზილიასთან წაგვივია კიდევ და არა მარტო მათ სამშობლოში. 4 წლის წინ ნეიტრალურ იტალიაში (ოლიმპიადებზე) საბჭოთა კავშირის ნაკრები ორჯერ შეხვდა ბრაზილიის გუნდს და ერთი ბრძოლა წააგო. ასე რომ, ბრაზილიელებზე ფიქრად უნდა გავიჭიროს თვალთ.

და ბოლოს, მესამე კონკურენტი — იუგოსლავია. 1961 წლიდან მოყოლებული იუგოსლავიის ნაკრებმა ოფიციალურ ტურნირებში მხოლოდ ოთხი დამარცხება განიცადა: ორი საბჭოთა კავშირთან (ორივე იუგოსლავიაში) და თითო-თითო ბრაზილიასთან (ბრაზილიაში) და პოლონეთთან (პოლონეთში). სწორედ ამ პერიოდში მათ აქვთ გამარჯვებები როგორც შეერთებულ შტატებზე, ისე საბჭოთა კავშირზე (ბრაზილიაში).

წესს იუგოსლავიის ნაკრების მწვერთელმა ა. ნიკოლიჩმა თითქმის ორი თვე დაჰყო კალათბურთის სამშო-

სამი კონკურენტი

ბი არც ისე დამაჯერებელი იყო. „ბორტი ენების“ აღიარებით, მსოფლიო პირველობა ბრაზილიელმა კალათბურთელებმა კი არ მოიგეს, არამედ მაყურებლებმა — მსოფლიოში ყველაზე ტემპერამენტისა გულშემატკივრებმა. ბრაზილიის გუნდი ძლიერია, მაგრამ არა მგონია, რომ იგი უძლეველი იყოს.

ეს ყველაფერი ასეა და მაინც უკუნურება იქნება ბრაზილიელებს რომ არ მივაქციოთ ყურადღება. ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მათზე გამარჯვება ჩვენს გუნდს ყოველთვის დიდი ჯაფის ფასად უხდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი ბრაზილიასთან წაგვივია კიდევ და არა მარტო მათ სამშობლოში. 4 წლის წინ ნეიტრალურ იტალიაში (ოლიმპიადებზე) საბჭოთა კავშირის ნაკრები ორჯერ შეხვდა ბრაზილიის გუნდს და ერთი ბრძოლა წააგო. ასე რომ, ბრაზილიელებზე ფიქრად უნდა გავიჭიროს თვალთ.

და ბოლოს, მესამე კონკურენტი — იუგოსლავია. 1961 წლიდან მოყოლებული იუგოსლავიის ნაკრებმა ოფიციალურ ტურნირებში მხოლოდ ოთხი დამარცხება განიცადა: ორი საბჭოთა კავშირთან (ორივე იუგოსლავიაში) და თითო-თითო ბრაზილიასთან (ბრაზილიაში) და პოლონეთთან (პოლონეთში). სწორედ ამ პერიოდში მათ აქვთ გამარჯვებები როგორც შეერთებულ შტატებზე, ისე საბჭოთა კავშირზე (ბრაზილიაში).

წესს იუგოსლავიის ნაკრების მწვერთელმა ა. ნიკოლიჩმა თითქმის ორი თვე დაჰყო კალათბურთის სამშო-

ბი არც ისე დამაჯერებელი იყო. „ბორტი ენების“ აღიარებით, მსოფლიო პირველობა ბრაზილიელმა კალათბურთელებმა კი არ მოიგეს, არამედ მაყურებლებმა — მსოფლიოში ყველაზე ტემპერამენტისა გულშემატკივრებმა. ბრაზილიის გუნდი ძლიერია, მაგრამ არა მგონია, რომ იგი უძლეველი იყოს.

ეს ყველაფერი ასეა და მაინც უკუნურება იქნება ბრაზილიელებს რომ არ მივაქციოთ ყურადღება. ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მათზე გამარჯვება ჩვენს გუნდს ყოველთვის დიდი ჯაფის ფასად უხდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენი ბრაზილიასთან წაგვივია კიდევ და არა მარტო მათ სამშობლოში. 4 წლის წინ ნეიტრალურ იტალიაში (ოლიმპიადებზე) საბჭოთა კავშირის ნაკრები ორჯერ შეხვდა ბრაზილიის გუნდს და ერთი ბრძოლა წააგო. ასე რომ, ბრაზილიელებზე ფიქრად უნდა გავიჭიროს თვალთ.


და ბოლოს, მესამე კონკურენტი — იუგოსლავია. 1961 წლიდან მოყოლებული იუგოსლავიის ნაკრებმა ოფიციალურ ტურნირებში მხოლოდ ოთხი დამარცხება განიცადა: ორი საბჭოთა კავშირთან (ორივე იუგოსლავიაში) და თითო-თითო ბრაზილიასთან (ბრაზილიაში) და პოლონეთთან (პოლონეთში). სწორედ ამ პერიოდში მათ აქვთ გამარჯვებები როგორც შეერთებულ შტატებზე, ისე საბჭოთა კავშირზე (ბრაზილიაში).

წესს იუგოსლავიის ნაკრების მწვერთელმა ა. ნიკოლიჩმა თითქმის ორი თვე დაჰყო კალათბურთის სამშო-

მეორე კვლევის

გუნდის გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მეორე კვლევის II კვლევის გუნდებს შორის. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები:

„არარატი“ (ერევანი) — სკა (ოლესა) 0:1
 „დინამო“ (ტალინი) — „მანტიორი“ (ყარაგანდა) 3:1
 „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1



ზაპოროჟიეში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა სპორტული კლუბების ძალოსანთა შორის. ჩვენი რესპუბლიკიდან მონაწილეობდნენ სპორტკლუბ „გამარჯვების“ სპორტსმენები. ისინი მე-5 გუნდურ ადგილზე გამოვიდნენ. ქვემოთ წონის ძალოსანმა კ. ბაზაძემ მესამე საპროზო ადგილი დაიკავა, ხოლო შემდეგ წონის სპორტსმენმა გ. სანიციძემ რესპუბლიკის ერთი და „განათლების“ ცენტრალური საბჭოს 3 რეკორდი დაამყარა — ატაცში — 130, აკვარში — 175 და სამკიდში — 445 კგ. აკვარში ნარჩენები შედეგი ამავე დროს რესპუბლიკური რეკორდია. სურათზე: გ. სანიციძე ფიცარნაზე. ფოტო ი. იუნაივისა

ა. პინეჟი


ახალი ამბავი

ბუქარესტი. მსოფლიო რეკორდსმენმა სიმალეზე სტომაში იოლანდა ბალაშა რუმინეთის სპარტაკიდაზე გამართულ შეჯიბრებაში მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი. მან დაძლია 190 სმ. ეს შედეგი 1 სანტიმეტრით ნაკლებია მისავე მსოფლიო რეკორდზე. 22 წლის ვ. ვისკოპულანომ სიგრძეზე სტომაში გადალახა 6 მ 44 სმ. ევროპაში საუკეთესო შედეგი საბჭოში აჩვენა შ. ჩოკინამ — 16 მ 28 სმ.

გდრ. კარგა ხნის შეხვედრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საწყლოსნო აუზს ოლიმპიური ჩემპიონი წყალში სტომაში ინგრიდ კრემერი (ენგელი) და კვლავ მოიქცია სპეციალისტთა ყურადღება. მან დააგროვა ქულათა ჩინებული ჯამი ტრამპლინიდან სტომაში — 154,41 და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა აგრეთვე კოსპურიდან სტომაში — 105,22 ქულა.

სან-საბასტიანი. აქ მოწყობილ ესპანელ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე დამყარებულ იქნა გრანდული რეკორდები. ა. კალემ (21 წლის) 200 მეტრზე რბენაში აჩვენა 21,0, ხოლო 20 წლის მ. კონსეგალმა ჰოკით სტომაში 4 მ. 60 სმ.

პოტსდამი. შუბის ტყორცაში სუნონში საუკეთესო შედეგი აჩვენა 29 წლის სპორტსმენმა ჯალმა ი. შვალემ (გდრ) — 57 მ 31 სმ. სიმალეზე სტომაში 20 წლის ვოგონამ კ. რიუფერმა (გდრ) გადალახა 1 მ 76 სმ. კ. ბალეკერმა 80 მ თარჯინის დისტანცია 2-ჯერ გაიზარდა ერთდღიანად დროში — 10,6.



სტარტზე დაღვებთან... მტრელები

უჩვეულო საგონებელში არიან ჩაგარდნილი იაპონური გაზეთების პატრონები, რომლებსაც სურთ ტოკიოს ოლიმპიადის გაშუქებაში გამოიჩინონ ატომისა და თანამგზავრების საუკუნის შესატყვისი ოპერატიულობა.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ტოკიოს ყოველდღიური გაზეთი „მაინიკი-სიმბუნი“, რომელსაც მიზნად აქვს დასახული მსოფლიოში პირველმა გამოაქვეყნოს ოლიმპიადის ასპარეზობათა ამსახველი ფოტოსურათები. იმ დაბრკოლებათა უსწრაფესად გადალახვისათვის, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას

სტადიონებიდან რედაქციამდე ნეგატივების ტრანსპორტირების დროს, გაზეთმა გადაწყვიტა გამოიყენოს... ფოსტის მტრელები. ეს მტრელები ავითარებენ 60 კმ სიჩქარეს საათში და სხვა ტრანსპორტთან შედარებით ყველაზე ნაკლებად ფერხდებიან გზაში.

გაზეთის მთავარმა რედაქტორმა წამოაყენა უპირველესი პირობა: მტრელებს არ უნდა ახასიათებდეთ ე. წ. „ფა-ლსტარტი“ — თვითნებური გაფრენა „ტვირთის“ გაერევა. საამისოდ 250 ფრინველი გადის საგანგებო წინასილიმპიადო წვრთნას.

უძველესი დროიდან მექანიკოსები ოცნებობდნენ შექმნათ ადამიანი-რობოტი, რომელიც „იასროვნებდა“ კიდევ. და აი, 1769 წელს ავსტრიის დედოფლის სასახლის მრჩეველმა, სახელგანთქმულმა უნგრელმა გამომგონებელმა და მექანიკოსმა ვოლფგანგ კემპელენმა ვენაში სასოფლო-სამეურნეო-მეცნიერებათა აკადემიის წევრად დაინიშნა, რომელიც თურქის სამოსში გამოაწყობდა ავტომატსა საერთო აღტაცება გამოიწვია. ღვი ამარცხებდა უძლიერეს მოყვარულსაც კი.

ავტომატის თამაშის საიდუმლოება ამოუკითხავი ღარა 1834 წლამდე. სინამდვილეში მის ნაცვლად თურმე თამაშობდა მოჭადრაკე, რომელიც შიგ იყო მოთავსებული, მაგრამ არ ჩანდა. ყუთის კარის გაღებისას მნახველი ხედავდა მხოლოდ მექანიკურებს, რაც სარკვევების გონებასწავილური განლაგებით ხდებოდა.

ნიჭიერმა მექანიკოსმა თავისი ავტომატი გასართობად შექმნა და არც ფიქრობდა ვინმეს მოტყუებას, ამიტომ პირველივე ჩვენების შემდეგ დაარღვია იგი. მაგრამ 1780 წელს ეკატერინე II-ის ვაჟის — პავლეს სტუმრობისას მოითხოვეს მისი აღდგენა და თამაშის ჩვენება. „ავტომატმა“ პავლე ალტაცებაში მოიყვანა და მან კემპელენი რუსეთში მიიწვია. აქედან დაიწყო „ავტომატმა“ მოგზაურობა გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და ინგლისის ქალაქებსა და მეფეთა სასახლეებში. კემპელენის გარდაცვალების შემდეგ (1804 წ.) ხელსაწყო შეიძინა იმპერატორმა ნიკოლაიმ, რომელმაც 1809 წელს მასთან თვით ნაპოლეონი თამაშა. ცხადია, გამარჯვება ავტომატმა, რომელშიც ევროპაში სახელგანთქმული მოჭადრაკე ალგაიერი იჯდა. მალევე უნდოდა გამდიდრებულიყო ავტომატის დემონსტრაციით და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაემგზავრა, სადაც, რა თქმა უნდა, სათანადოდ იხრუ-

მამაკაცებისთვის

რობოტი

ნეს რეკლამისათვის. მალეველის გარდა „ავტომატი“ შემდეგ ბევრის საკუთრება გახდა. 1840 წლიდან იგი ფილადელფიის მუზეუმში იყო გამოფენილი. აქვე, 1854 წელს, ხელსაწყო დაიწვა ხანძრის დროს.

ყველა ფიქრობდა, რომ კემპელენის პირში სამუდამოდ დაიღუპა. მაგრამ 1945 წელს ერთმა ფრანგმა ჯარისკაცმა, რომელიც მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარის ნაწილში შედიოდა, ვენის ძველი სახლის სარდაფში იპოვა „თურქი-მოჭადრაკე“ თავისი ყუთით და მექანიკურებით. ჯარისკაცმა ნაპოვნი პარიზში წაიღო და შეაკეთებინა. ფიქრობენ, რომ იგი კემპელენის ქმნილების ერთ-ერთი ვარიანტია. რასაკვირველია, „ავტომატს“ უკვე არაფერ უკრებებს, მაგრამ მისი არსებობა მნახველებს მოაფრთხებს წარსულს. დღეს, კოსმოსის დაპყრობის ეპოქაში, არსებობს მანქანები, რომლებიც ნამდვილად თვითონ თამაშობენ ჭადრაკს.

ჯ. ზაჩინარიძე

სურათზე: გამოჩენილი ფრანგი მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი შანტალ შოლდ დე სილანი კემპელენის ავტომატს „ეთამაშება“ პარტიას.

... როგორც იქნა გადაწყდა: გერმანიის ორივე სახელმწიფო ტოკიოს ოლიმპიადამდე გამოვა გაერთიანებული გუნდი. როგორ გახსნის გუნდებს შორის გაიმართა შეჯიბრება სპორტის ოლიმპიურ სახეობებში. უძლიერესნი წავლენ იაპონიის დედაქალაქში.

ყველაფერი სორბალურად მიმდინარეობდა, რომ დასავლეთ გერმანიაში ელვის სისწრაფით დაირხა ხმა:

— არნახული დამარცხება! ტოკიოში წავა გდრ-ის სპორტსმენთა უმრავლესობა.

ნათქვამს რომ ნათელი მოვფინით, გაგარკვევით ერთი — გერმანიის ორივე სახელმწიფოს ოლიმპიადისწინა შესარჩევ ასპარეზობაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს გდრ-ის სპორტსმენებმა. მათ სპორტის უმრავლეს სახეობაში მიიღეს ტოკიოს საგზური.

„პარბად გიხსნობთ“

და აი, დღეა დასავლეთ გერმანიის სპორტის „მოდერნის“ უღირსი საქმიანობის გამო. დორტმუნდში (გფრ) გამართულ წინასაოლიმპიადო ტურნირზე კიბაბაში ადოლფ ფრანკმ ბეჭებზე დასვა თავისი მეტოქე დასავლეთ გერმანიიდან და ის-ის იყო სასტუმროს ვესტბულში შეაბიჯა, რომ აქ მას დახვდნენ რეპორტიორები „ბილ-ცაიხუნგელან“. რამდენიმე უმნიშვნელო შეიშინის შემდეგ რეპორტიორებმა საიდუმლოდ უთხრეს სპორტსმენს, რომ მას მოსალაპარაკებლად ელოდება ერთი ადამიანი.

ფრანკ აქცა სასტუმროს კიბეს, მივირჩხნის შემდეგ კი ამხანაგების თანხლებით რესტორანში შევიდა.

— არ ვინდამო ჩემთან ერთად ისაღილოთ ბაღში? — ჩაესმა უცხად ფრანკს. სპორტსმენმა გაკვირვებით შეხვდა უცნობს. რომელიც პირდაპირ „საქმეზე“ გადავიდა.

— მე მოგვყვით 3 ათას მარკას და თქვენ დარჩებით ფედერაციულ რესპუბლიკაში, მიიღებთ ბინას, მანქანას, კარგ ჯანაჯირს. იქნებით ღმერთივით!

ადოლფ ფრანკმ არ ისურვა „ღმერთითი ყოფნა“. იგი ამხანაგებთან დაბრუნდა.

ერთი დღის შემდეგ „ბილ-ცაიხუნგელან“ რეპორტიორები კვლავ შეხვდნენ ფრანკს. — იმ ბატონს კიდევ ერთხელ სურს თქვენთან საუბარი.

— ამ წუთში, ჩემს მწკრივს მოვიხმობ — იყო სპორტსმენის პასუხი და ეურნალისტებიც წაშვე „აორთქლდნენ“.

გდრ-ის მოქიდავეთა კავშირის პრეზიდენტმა ხორსტ კოვტომა განაცხადა: „მე ვიცი იმ კაცს, რომელიც ადოლფს ესაუბრებოდა. პირველად იგი პელსინგორფში ჩატარებულ მოქიდავეთა მსოფლიო პირველობაზე ენახე: შავი „მეორედესით“ ჩამოვიდა, გდრ-იდან გადახვეწილ ორ ახალგაზრდასთან ერთად. ყოველთვის ცდილობდა გამოლაპარაკებოდა ჩვენს ბიჭებს, მაგრამ ამაოდ. მე ტყვი დორტმუნდის დარბაზშიც მოვიდა, წინასაოლიმპიადო შე-

სოფლის ვიქტორია მისსიქენი

იუბილუმი მითხრობა

ამბობენ ბატებს მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი დამსახურება მიუძღვით. ობიექტური შეფასება! ისეთი ქალაქის გადარჩენა, როგორც რომა, მართლაც, ქვეყნის რიგ გმირობად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ხომ შეიძლება ომის მოვლენები ისე განვითარებულიყო, რომ ბატებს დაღვანის ნაცვლად ბაყაყებს აეტყებათ ყიყინი და ომახიანი განგაშით ბარბაროსები დაეფეთებინათ? ცხადია, შეიძლება! მაშ, რატომ ვაკუთვებით ბატებს უფრო დიდ პრივილეგიებს, ვიდრე უწყინარ ბაყაყებს? რით ღვანან მათზე მაღლა? ქვეით? როგორ გეკადრებათ! ვოკალური მონადირეობა? ეგ არსად არ თქვათ! — მზხარაულის, ტაფაწყურის და საბალიშე ბუმბულის წყალობით, — მაინც იტყვი თქვენ.

მტკიცე არგუმენტა. მაგრამ აი, კონტრარგუმენტიც. დედაჩემსაზე ხომ ბევრია ისეთი ქვეყანა, სადაც ომისონის წვეწმში ჩადებული ბაყაყის წვევადი ნუგებარ დელიკატესად არის მიჩნეული? ეს ერთი. მეორეც ის, რომ ბაყაყი უდიდესი სამედიცინო მნიშვნელობის არსებობს. ვისი სხეულით სწავლობენ ინჟოლოგები კიბოს ავთვისებიან სიმსივნეს? ბაყაყის სხეულით! ვის სხეულში შეყავთ ხოლმე ნეიტრონის მრავალსაბინო მნიშვნელობის სხივები? ბაყაყის სხეულში! ვის სხეულზე ცდიან სამკურნალო პრაპარატს? ბაყაყის სხეულზე!

არაფრით, არაფრით ღვანან ბატები ბაყაყებზე მაღლა! მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას უმაღლოდნენ ისინი, რომ რომის განსაცდელის ფაშა ჩემი ყიყინები სხვა საქმით იყვნენ დაკავებული...

...პირადად მე მეტად კმაყოფილი ვარ იმით, რომ ბუნებამ ადამიანს ცურვის თანდაყოლილი უნარი არ უბოძა. თვითონ განსაკუთრ, რა დღეში ვიქნებოდით მაშინ მე. ხომ არ მეცოდინებოდა ცურვა და, სინდისს გეფიცებით, გამოხალისი ვიქნებოდი!... ასლა კი რამდენია ჩემი პირი და საერთო პირი ხომ ადვილი გადასატანია. არ გჯერათ? მაშ ყური მივდებ.

...უბედურთა რიცხვს ოთხნი ვეკუთვინით: მე — ქარხნის მთავარი ბუღალტერი გენო თევზაძე, დათიკო ციმორიძე — ჩვენი საწყობის გამგე, კადრების განყოფილების უფროსი აზარტ კოლმანელიძე და ექსპედიტორი ვალიკო ვეშაპიძე, რომლებიც აი, უკვე ხუთი თვეა ცურვის შემსწავლელ ჯგუფში ვირიცხებით. მაღალკვალიფიციური მწკრივით გადიდებული ყურადღების ქვეშ ვართ, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, აუზის ფსკერს ვერ გავშორდით. რაც ჩვენ ამ ხნის მანძილზე ქლირიანი წყალი ჩაყვალა, აქლემთა მთელ ქარავანს ეყოფოდა. ოპ! როგორ დავტანჯეთ ჩვენი მწკრივითელი! საწყალმა ბიჭმა აღარ იცის, რა მოგვიხერხოს, ლამის წყალში გადავარდეს. არა, მაინც ყველა უნიკომ როგორ მოვიყარეთ ერთად თავი! აი, ის კაცი, მწარედ რომ ახველებს, აუზის ყველაზე მაგარ „მსმელად“ ითვლება. მას არც ის ჩამორჩება, აი იქ, ბუშ-

ტებს რომ უშვებს ფსკერიდან. ის კი, ბუღალტერი რომ ტყე ამოსვლით, მეორე წელი ამაოდ იტანება.

— ოპ! ოღონდ აი იმ კიბემდე გავცურო, — ნატრობს ყოველ დღე კადრების განყოფილების გამგე აზარტ კოლმანელიძე. — და ერთი ცხვარი ჩემზე იყოს!

— იმ კიბემდე კი არა, აი ამ ფიქრამდე მოვალწო როგორმე და...

მე არც იმ კიბემდე მიხდა, არც ფიქრამდე, ოღონდ, პორიზონტალურ მიდგომარეობაში გაფრულე წყალზე. ეგ! ღურმე რა უნიკო ყოველივარ...

— ჩვენ თუ რამე არ ვიცნობთ, ვერც ერთი ვერ მოხვდებით ტოკიოში. — გამიფანტა ფიქრები მწკრივებზე და ეშმაკური დინილით ჩაბიდან რაღაცა ფრთხილად ამოიღო. შემდეგ სათითაოდ შევავთავიერა, მრავალმნიშვნელოვანად გაიღმა და აუზში ჩამოხტა.

— მოსალოდე აქედან!

— გადავად ვიქნები!

— ეგაა გეკალდა!

გაისმა უკმაყოფილო ბუზუნე, როცა მის ხელში ვეგებრთელა ბაყაყმა დაკარგა თვალემა.

— მოიცათ, მოიცათ! ამის დაჭრას ორი საათი მეუწინა. ეს ცნობილია ბრასისტიკა. ამა დააკვირდით, როგორ ამოძრავებს ფეხებს, ეგებ ამისთან მაინც ისწავლოთ! — და ბაყაყს ხელი უშვა. ბაყაყამაც დაიარხა, ისედაც გადმოკარგული თვალემა კიდევ უფრო გადმოკარგა და დინება. როგორც თავის თამაში დარწმუნებულმა მოცურავემ, ჩვენს გაბრემო ორი დიდი წრე გააკეთა.

— ჰო, ჰო, რა მარჯედ ცურავს! — გამხიარულდა ციმორიძე.

— სულ შენ გვავს, გენო! — თქვა ვეშაპიძემ.

— ამან უნდა გვაჯობოს, კაცო! — იწყინა კოლმანელიძემ. მე — თევზაძე — კი ვდუმდი.

— აბა, სინჯე ასლა, დათიკო! ხომ დამიხსოვრე? დათიკო წელში გაიშარათა. მუროთ სავსე თვალეებით ბაყაყს გამგმირავი მზერა ესროლა და... ჰოი, საკვირველებავ! დაკორძილი ფეხები სწრაფად მოუსვა. ხელეები სწორად აბუშავა და... ვინ თქვა, სასწაული არ ხდება! გამაყრუებელი ტამის გრიალში სწორედ იმ კიბით ამოვიდა აუზიდან!

თითქოს მე ხალხი შეცვალეს, ყველა გასცურა ათიოდ მეტრად. ჰო, ჰო, უნდა გენახათ მათი სახეები. სიხარულისაგან აცქმუტებულნი ასკინკალათა უვლიდნენ აუზს და სათითაოდ კოცინდნენ ყურებამდე გაღიმებულ მწკრივითელს.

ჩემი როგორც დაღვა. მღელვარებისაგან სუნთქვა შემეკრა, ნუთუ ყველა უნდა მაჯობოს, ნუთუ... არა! არა, მე ვცურავ! მე წყლის სვეტი ვარ! ვაიმე, გული! ოღონდ ასლა არ გასაღეს სიხარულით და მეზე სტადიონის ბილეთით მოუფურთხილდები, მე... მე, ვაშაა!

ჰოდა, მოდი, ნუ ვიქნებით ბაყაყების მიმართ გულციენი! ნუ ვფსკრით მათ ქვეშ! ნუ დაუღრღვევთ მყდროებს! იქნებ თქვენც გაიპოვებოთ...

ოლიმპიური ქალაქი

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე შეერთებული შტატები ქალთა ძლიერ გუნდს აგზავნიან. ამერიკელთა ღირსებას დაიცვენ მერლინ უაიტი, უიონია ცუხი, დევი ტომპსონი, ვივიან ბრაუნი და ამათში ყველაზე უფრო პერსპექტიული ედიტ მაკ-გუარი, რომელსაც სპორტულ სამყაროში ახალი ვიღმა რულოფი შეარქვეს. მაკ-გუარი 20 წლისაა. მან უკვე გაიმართა ვიღმას რეკორდები 100 და 200 მეტრზე რბენაში.

17 წლის იტილიელმა მძლეოსანმა ვილიამმა ამას წინათ ჰოკიო ხტომაში 4 მ 70 სმ დაძლია და ოლიმპიური ნორმატივი შეასრულა. ფიქრობენ, რომ ტოკიოში იგი საგრძობლად გააუმჯობესებს თავის შედეგს. იტილიის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდში მოხვდნენ აგრეთვე სპორტერები ოტოლინა და ბერუტი. საშუალო მანძილებზე მორბენალი ბანაი, ფრიოლო, მორალე და კაროცა (თარგბენი), სიმალეზე მხტომელები ბოლიატო და გული, მტკიცელები მეკონი და ლიევიკი, ათქიდელი სარი.

ტოკიოს მუნიციპალიტეტის გადწყვეტილებით ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენები ატოტოუსითა და მეტროთი უფასოდ ისარგებლებენ. იგივე პრივილეგიები ექნებათ ოფიციალურ პირებსა და პრესის წარმომადგენლებს.

რედაქტორის მაგიერ
ჯ. ჯაფარიძე

